შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№17 (9.582)

11-18 მაისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

უკვდავებისკენ უფრო გვახელებს თქვენი სახელი, როგორც მახვილი...

„...მე გპირდებოდით, რომ
დავბრუნდები,
რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ,
მაგრამ დღეები, როგორც
ქურდები
ჩემს შეპირებას ანადგურებენ.“

-ეს მირზა გელოვანია,ნიჭიერი პოეტი, მარად ახალგაზრდად დარჩენილი ღიმილის ბიჭი, რომელიც თანატოლთა სახელით ბოდიშს უხდიდა არდაბრუნებისთვის ყველა ახლობელს...ბევრი ახალგაზრდა დარჩა ბრძოლის ველზე, ბევრი ომში მიყენებული იარებით დაუბრუნდა თავის ოჯახს და დანგრეული ქვეყნის შენებაში მიიღო მონაწილეობა.მათი უმრავლესობა ცოცხალთა შორის აღარაა.ყოველწლიურად კლებულობს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა რიცხვი...

ფაშიზმზე გამარჯვების დღე საქართველოში და მათ შორის, დედოფლისწყაროშიც აღინიშნა. ომის დასრულებიდან 68 წლის შემდეგ, დედოფლისწყაროს შინმოუსვლელთა მემორიალთან კვლავ შეიკრიბნენ ვეტერანები, ისევ მიულოცეს ერთმანეთს გამარჯვების დღე და მიიღეს მილოცვები ხელისუფლების წარმომადგენლებისგან. მემორიალთან მივიდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი, სოფელ ხორნაბუჯის რწმუნებული ტარიელ ღარიბაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები.

9მაისს წელსაც ღრუბლიანი ამინდი იყო, თუმცა წვიმის წვეთები თავშეკავებულად იქცეოდნენ... ციდან მზის სხივები ელამუნებოდა ვეტერანთა ნაომარ და ნაჯაფარ, უკვე მოტეხილ სხეულს. ბევრს არ უნდოდა მემორიალის დატოვება და იმ დღეებს იხსენებდა, როცა ჯერ სრულიად ახალგაზრდას, რეპროდუქტორების მეშვეობით ამცნო ლევიტანის ხმამ ომის დაწყება. მერე ,ზოგი წინა ხაზზე იბრძოდა, ზოგიერთს ბედმა გაულიმა და ისეთ ადგილებში იბრძოდა, სადაც ნაკლები საფრთხე იყო. შინმოუსვლელთა მემორიალიდან ვეტერანებმა კულტურის სახლში გადაინაცვლეს, სადაც სპეციალურად ამ დღისთვის მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. საზეიმო ღონისძიებაში ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივები და დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

კონცერტის დასრულების შემდეგ სამამულო ომის ვეტერანებისთვის გაიმართა სადილი, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან ყველა მათგანს 200-200 ლარი ჩაერიცხა.

ომგადახდილი ვეტერანები მომავალ თაობას სისხლისმღვრელი ომის საშინელებათა გახსენებისა და მშვიდობიანი ცხოვრების სურვილის მიღმა სამშობლოსათვის თავდადების მაგალითის მიმცემნიც არიან.

* * *

9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. 1945 წლის 8 მაისს ვერმახტის კაპიტულაციის შემდეგ მეორე ევროპაში მსოფლიო ომი დასრულდა, 9 მაისი კი ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა.

მეორე მსოფლიო ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. აზიაში ის დაიწყო მეორე იაპონია-ჩინეთის ომით 1937 წლის 7 ივლისს და ევროპაში გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე 1939 წლის 1-ელ სექტემბერს. საომარი მდგომარეობა ევროპაში დასრულდა 1945 წლის 8 მაისის ვერმახტის კაპიტულაციით, ხოლო აზიაში - 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, იტალია და იაპონია აწარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთის რესპუბლიკა, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის დარღვევის შემდეგ საბჭოთა კავშირი და იაპონიის პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები.

მეორე მსოფლიო ომის ძირითადი ბრძოლის ადგილი იყო აზია, წყნარი ოკეანის აუზი, ევროპა და ჩრდილოეთ აფრიკა. საომარი შეტაკებები მიმდინარეობდა აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკაში (არქტიკა) ალასკასა და გრენლანდიაზე, ახლო აღმოსავლეთში - ერაყსა და ირანში, აღმოსავლეთ აფრიკაში - ეთიოპიასა და სომალიში, აგრეთვე სამხრეთ ამერიკაში (სურინამის დაპყრობა), ტიბეტში (ტოლსტოი-დოლანის მისია) და ანტარქტიდაზედაც კი (ოპერაცია ტაბარინი).

მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლის. ომის სულისკვეთება გაჟღენთილი იყო მძლავრი იდეოლოგიზმით. ამან ურიცხვი სამხედრო დანაშაული და მშვიდობიან მოსახლეობაზე სისტემატიური ძალადობა გამოიწვია, რომელიც გენოციდშიც კი გადაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში იყო გერმანიის მიერ წამოწყებული დამპყრობლური და გამანადგურებელი ომი აღმოსავლეთში "საარსებო გარემოს" მოპოვების მიზნით. გერმანიის საგარეო პოლიტიკის სავარაუდო სქემის ძირითად კომპონენტებს შეადგენდა კავშირი იტალიასა და იაპონიასთან; ბრძოლა გერმანიისთვის გამანადგურებელი

(გაგრძელება გვ.3)

სააღდგომოდ მგზავრობა გაძვირდა

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დედაქალაქიდან დედოფლისწყაროს მიმართულებით მგზავრობის საფასური თითქმის გაორმაგდა. ინფორმაცია გაზეთ „შირაქს“ ავტოსადგურშიც დაუდასტურეს.

სადღესასწაულო დღეებში, რამდენიმე დღის განმავლობაში მსუბუქი ავტომობილით, ისნის სადგურიდან დედოფლისწყაროს მიმართულებით მგზავრობის ფასი 8-ის ნაცვლად 12-დან 15 ლარამდე მერყეობდა, ხოლო მცირე ზომის მიკროავტობუსი 7-ის ნაცვლად 10 ლარი ღირდა.

როგორც დედოფლისწყაროს სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ფასის მატების მიზეზი ის გახდა, რომ დედოფლისწყაროდან თბილისის მიმართულებით ნაკადმა იკლო, მგზავრები ძირითადად დედაქალაქიდან მიდიან დედოფლისწყაროში.

„დედოფლისწყაროდან თბილისის მიმართულებით ცარიელები მივდივართ, მგზავრები საერთოდ არ გვყავს. ისანში კი მოთხოვნილება დიდია. ხალხი ძირითადად სოფლებში ბრუნდება და ხარჯები რომ გადავფაროთ ფასი ამიტომაც გაიზარდა. ნაკადის ზრდა განსაკუთრებით პარასკევს და შაბათს შეინიშნებოდა“, — აცხადებენ მძღოლები.

დედოფლისწყაროელები აღნიშნავენ, რომ სხვა რაიონებთან შედარებით დედოფლისწყაროში მგზავრობის ფასი ამ დრომდეც მაღალი იყო, სადღესასწაულოდ მისმა მატებამ მგზავრების უკმაყოფილება კიდევ უფრო გაზარდა.

ილია მარტყოფლიშვილი

ირაკლი ღარიბაშვილი დედოფლისწყაროში

გვ. 3

ჩვენს რაიონში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება

გვ. 4

ყოველ პარასკევს კახში საეკლესიო რიტუალი ჩატარდება

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №159

08. 05. 2013 წელი

ქ. დედოფლისწყარო

ქ. დედოფლისწყარო,
კოსტავას ქ.№44
ტელ. 0356 22 55 34

სტრატეგიული ზოოანთროპოზონური ინფექციური დაავადების-ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერაში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის მიმდებარედ მურთაზ ხუცურაულის ფერმასა და მასზე მიმაგრებულ ტერიტორიაზე) შეზღუდვების მოხსნის შესახებ

სურსათის ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 55-ე მუხლის აპუნქტის, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს 2013 წლის 7 მაისის №48 მიმართვის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერაში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის მიმდებარედ მურთაზ ხუცურაულის ფერმასა და მასზე მიმაგრებული ტერიტორია), მოიხსნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 7 მარტის №90 ბრძანებით დაწესებული შეზღუდვები.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის მიმდებარედ მურთაზ ხუცურაულის ფერმასა და მასზე მიმაგრებულ ტერიტორიაზე ზოოანტროპოზონური ინფექციური დაავადების ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 7 მარტის №90 ბრძანება.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“ და განთავსდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.dedoplistskaro.ge).
4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
5. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ.№15)უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში.

ირაკლი შიოლაშვილი,
მუნიციპალიტეტის გამგებელი

ფილიპ დიმიტროვი - ევროკავშირისკენ მიმავალი გზა საკმაოდ რთული გასავლელია

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღანელი ფილიპ დიმიტროვი აცხადებს, რომ ევროკავშირისკენ მიმავალი გზა არის საკმაოდ რთული და არ არის ია-ვარდით მოფენილი.

როგორც ევროკავშირის ელჩმა დღეს პარლამენტის საჯარო ბიბლიოთეკაში ევროპის კვირეულის გახსნის დროს სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, როდესაც მისი კოლეგები თბილისში ჩამოდიან, ამბობენ, რომ დღეს თბილისი არის უფრო მეტად ევროპული ქალაქი, ვიდრე ევროკავშირის წევრი ზოგიერთი ქალაქი.

ევროკავშირის ელჩის თქმით, ევროპის კვირეულის მსგავსი ღონისძიება, საქართველოს გარდა, მრავალ სხვა ქვეყანაშიც იმართება. რაც შეეხება გამოფენაში ახალგაზრდების ჩართულობას, დიმიტროვის განცხადებით, ეს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

შეგახსენებთ, რომ ევროპის კვირეული დღეს გაიხსნა და 11 მაისამდე გაგრძელდება. საჯარო ბიბლიოთეკაში ესსების, ფოტოებისა და ნახატების კონკურსში გამარჯვებულები ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში, ფილიპ დიმიტროვმა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, ალექსი პეტრიაშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ დავით ზურაბიშვილმა დააჯილდოვეს.

სასამართლოების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები 16 ან 17 მაისს შევა ძალაში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით,სასამართლო რეფორმისთვის განკუთვნილი საკანონმდებლო ცვლილებები 16 ან 17 მაისს შევაძალაში. როგორც უსუფაშვილმა განაცხადა, იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი კვლავ თავისაზრზე დარჩება, მაშინ ის გამოიყენებს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას დაკანონპროექტს თავად მოაწერს ხელს.

“სასამართლო რეფორმის კანონპროექტმა გრძელი გზა გაიარა, ვიდრე პარლამენტი ვეტოს დაძლევდა და პრეზიდენტს გაუგზავნიდა ხელმოსაწერად. ეს კანონპროექტი დევს საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო მაგიდაზე და პრეზიდენტს აქვს ვადა 15 მაისამდე, რათა მოაწეროს ხელი ამ კანონს. თუ 15 მაისს, მოსამართლის დღეს, პრეზიდენტი გადაწყვეტს, რომ არ მოაწეროს ხელი ამ კანონპროექტს, ამ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მე მაქვს უფლება, მოვაწერო ხელი ამ კანონს და იგი შევიდეს ძალაში. მე ბუნებრივია, ამ უფლებას გამოვიყენებ”, - განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, კანონი პარლამენტის თავმჯდომარეს ავალებს კონკრეტული გრაფიკის გამოქვეყნებას, რასაც კანონის ამოქმედების შემდეგ გააკეთებს.

“ასევე, მისი ამოქმედებიდან დაახლოებით ერთ თვეში ან თვენახევარში იუსტიციის უმაღლესი საბჭო იქნება დაკომპლექტებული ახალი წესის შესაბამისად”, - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

საქართველოში ქარის ენერგიაზე მომუშავე საპილოტე სადგურის შექმნა იგეგმება

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურების შექმნაზე მუშაობა დაწყებული აქვს. ამის შესახებ მინისტრმა კახი კალაძემ „მედიანიუსს“ იმ კითხვაზე საპასუხოდ განუცხადა, რომელიც ქვეყანაში განახლებადი ენერგიის გამოყენების შესაძლებლობებსა და სამომავლო პერქპექტივებს შეეხებოდა. მისი თქმით, სამინისტროს სურვილია 20-მეგავატიანი სადგურის საპილოტე პროექტის განხორციელება.

„ალბათ ერთი წლის განმავლობაში კონკრეტულად გვეცოდინება ადგილმდებარეობა, სად არის შესაძლებელი ამ პროექტის განხორციელების შესაძლებლობა. ამას სჭირდება ქარიანი ადგილი. გვაქვს გარკვეული პარამეტრები და შესწავლა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გვაქვს დაწყებული. ასევე არის ტერიტორიები, სადაც არის ქარიანობის მაღალი მაჩვენებელი. პროექტის განხორციელების ძალიან დიდ ინტერესს ავსტრიული და თურქული კომპანიები იჩენენ. გვინდა, წილობრივად მივიღოთ მონაწილეობა ამ პროექტის განხორციელებაში“, - აღნიშნა კახი კალაძემ.

მისი ინფორმაციით, ერთი წლის განმავლობაში ცნობილი გახდება, თუ როდის განხორციელდება ეს პროექტი.

რაც შეეხება მზის ენერგიას, მინისტრის განმარტებით, ამაზე საუბარიც იყო, მაგრამ ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, რადგან მისი გამოყენება საბოლოოდ მომხმარებელზე უნდა აისახოს, ანუ ტარიფი გაიზარდოს.

„ამდენად, ამჯერად არამიზანშეწონილად მიგვაჩნია მზის ენერგიის განვითარება. ჩვენ ძალიან დიდი შესაძლებლობა გვაქვს ჰიდრორესურსების გამოყენების, რომელიც დღესდღეობით ყველაზე იაფ ელექტროენერგიად რჩება“, - აღნიშნა კახი კალაძემ.

ტრაგედია ქვემო ქედში

უბედური შემთხვევა მოხდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში. თხევადი აირის ავზის აფეთქებას 40 წლამდე ასაკის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, აფეთქება მაშინ მოხდა, როცა სოსო ბილანიშვილი გაზის ანთებას ცდილობდა. შემთხვევის შედეგად ოჯახის დანარჩენი წევრები არ დაშავებულან.

გარდაცვლილის ოჯახი უკვე მოინახულა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა. ირაკლი შიოლაშვილმა და ბილანიშვილების ოჯახს პირადად მიუსამძიმრა.

სოფელ ქვემო ქედის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ლუხუმ ნაკვეთაურმა განაცხადა, რომ მამაკაცი საკუთარ ეზოში არსებულ საჩეხში შევიდა, სადაც ბუნებრივი აირის ბალონი იდგა და აფეთქება ამ დროს მოხდა.

„არავინ არ იცის, როგორ და რა პირობებში მოხდა აფეთქება, გაზი უნდა აენთო და ამ დროს აფეთქდა თუ რა მოხდა. მის გარდა ოჯახში არავინ დაშავებულა. გარდაცვლილს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა,“ — აღნიშნა ლუხუმ ნაკვეთაურმა.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას დედოფლისწყაროს პოლიცია აწარმოებს.

ილია მარტყოფლიშვილი

წნორის მოსახლეობამ საძოვრების დაბრუნების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართა

სიღნაღის რაიონის დაბა წნორში, ტერიტორიული ორგანოს შენობასთან 100-მდე ადგილობრივმა საძოვრების დაბრუნების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეების განცხადებით, 50 ჰექტრამდე საძოვარი ყოფილი ხელისუფლების დროს ფარულად ჯერ კერძო პირზე გაიყიდა, რამდენიმე თვის წინ კი ინდოელ ფერმერებზე გასხვისდა.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ინდოელები საძოვრებზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს აწარმოებენ და საქონელს ტერიტორიაზე აღარ უშვებენ. მათი თქმით, მოსახლეობას საქონლისთვის სხვა ალტერნატიული ფართი არ აქვს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის რამაზ პოპიაშვილის განცხადებით, მოსახლეობის დასახმარებლად გამგეობას ამ ეტაპზე არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

„ეს მიწა შპს „აეროპორტის“ საკუთრება იყო, წლების წინ, იჯარით გასხვისდა რამდენიმე პირზე, შემდეგ არაერთხელ გაიყიდა და ბოლოს ინდოელებმა იყიდეს. რა პირობებში მოხდა მიწის გასხვისება, ჰქონდა თუ არა ადგილი კანონდარღვევას არ ვიცი. ეს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა შეისწავლონ. რამე გამოსავალი უნდა მოიძებნოს ამ ხალხის დასახმარებლად, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია,“ - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელმა რამაზ პოპიაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილი აღდგომას დედოფლისწყაროში შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მშობლიურ რაიონში, დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში, მეუღლესთან ერთად შეხვდა. მინისტრთან ერთად ღამისთევაზე დედოფლისწყაროს მუნიციალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილიც მივიდა.

საღმრთო ლიტურგია ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ აღასრულა. ისრაელიდან თბილისში ჩამოტანილი ღვთიური ცეცხლი დედოფლისწყაროში გვიან ღამით ჩამოაბრძანეს.

მინისტრმა ღამე მშობლებთან, საკუთარ მამაპაპისეულ სახლში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში გაატარა. დილით კი, ტრადიციულად, ახლობლების საფლავები მოინახულა. მოგვიანებით მინისტრმა დედოფლისწყაროში რამდენიმე ღირსშესანიშნავიადგილიმეუღლესთან ერთად დაათვალიერა და მათი განვითარების პერსპექტივით დაინტერესდა.

გაზეთ „შირაქის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ღარიბაშვილი დედოფლისწყაროში მდებარე სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალისა და „ქოჩების ტბის“ ტერიტორიებზეც იმყოფებოდა. მინისტრის ესკორტმა დედოფლისწყარო 5 მაისს, საღამოს 19 საათისთვის დატოვა.

„დატვირთული გრაფიკის მიუხედავად ირაკლის დიდი სურვილი ჰქონდა აღდგომის დღესასწაულს დედოფლისწყაროში შევხვედროდით. ყოველთვის აქ ვხვდებით ხოლმე და მიხარია, რომ ამჯერადაც მოვახერხეთ,“ — აცხადებს მინისტრის მეუღლე ნუნუკა თამაზაშვილი.

ირაკლი ღარიბაშვილი დედოფლისწყაროში დაიბადა და გაიზარდა, მისივე სკოლელია მისი მეუღლეც.

ილია მარტყოფლიშვილი

უკვდავებისკენ უფრო გვახელებს თქვენი სახელი, როგორც მახვილი...

(პირველი გვერდიდან)

შედეგების მომტან ე. წ. “ებრაულ მსოფლიო შეთქმულების” წინააღმდეგ; ანტიბოლშევისტური გამანადგურებელი ბრძოლა აღმოსავლეთში “საარსებო გარემოს” მოპოვებისთვის და დაპყრობილი ტერიტორიების გერმანელებით დასახლება.

გერმანიის საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოში გაბატონებული პოზიციის მოპოვება. “გერმანია იქნება მსოფლიოში გაბატონებული ძალა ან საერთოდ არაფერი არ იქნება”, – წერდა ჰიტლერი თავის წიგნში “ჩემი ბრძოლა” („Mein Kampf“).

დაპყრობილი საბჭოთა კავშირი უნდა დაყოფილიყო სხვადასხვა ოლქად რაიხსკომისრების მმართველობის ქვეშ. აქედან ბელორუსები, უკრაინელები და ბალტიისპირეთის ხალხები “საარსებოდ ვარგისად”, ხოლო რუსები “დაბალ რასად” იქნენ შეფასებულნი. დაპყრობილი აღმოსავლეთ ევროპა დასახლებული უნდა ყოფილიყო გერმანელი გლეხებით და ჯარისკაცებით, ე. წ. “შეიარაღებული გლეხებით”. ნაცისტური ელიტის განზრახვით, აღმოსავლეთ ევროპის ხალხები, მათი სამოქალაქო ელიტის განადგურების შემდეგ, უნდა დარჩენილიყვნენ “გაუნათლებლები, მორჩილნი და გამრჯე” და ემუშავათ გერმანიისთვის.

1933 წლამდე ეს იდეები სერიოზულად არავის მიუღია, თუმცა ჰიტლერის პოლიტიკა სხვა არაფერი იყო, თუ არა ამ გეგმის ეტაპობრივი განხორციელება. 1936 წლის აგვისტოში მიღებული “ოთხწლიანი გეგმა” ითვალისწინებდა გერმანიის არმიის და ეკონომიკის საბრძოლო ვითარებისთვის მომზადებას ორი განსხვავებული ვარიანტისთვის: 1) 1941-1942 წ.წ. - გერმანიისთვის პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით არახელსაყრელი ვარიანტი; 2) 1944-1945 წ.წ. - შედარებით ხელსაყრელი ვარიანტი.

1937 წლის 5 ნოემბერს ჰიტლერმა თავისი გეგმები დაწვრილებით და დაზუსტებით წარუდგინა ვერმახტის გენერალიტეტს “(იხ. “ჰოსბახის პროტოკოლი”).

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში გერმანიამ დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს, 4 საათსა და 45 წუთზე ვერმახტის პოლონეთზე თავდასხმით. თავდასხმის გამართლების მიზნით გერმანულმა მხარემ მოაწყო რამდენიმე ინციდენტი. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო პოლონურ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი “სს”-ის წევრების თავდასხმა 31 აგვისტოს რადიოსადგურ გლაივიცზე, რომლის დროსაც მათ პოლონურ ენაზე ეთერში გადასცეს პოლონეთის მიერ გერმანიისადმი ომის გამოცხადების ცნობა.

ომის პირველი გასროლა მოახდინა გერმანულმა სასწავლო გემმა “შლეზვიგ-ჰოლშტაინმა”.

1941 წლის 22 ივნისის დილის 4 საათზე კი ვერმახტის 149-ე დივიზიამ (მათ შორის ყველა გერმანული სატანკო და მოტორიზებული ძალები) გადალახა სსრკ-ის საზღვრები. 2 დივიზია შეტევას აწარმოებდა ფინეთიდან, 8 სტაციონირებული იყო ნორვეგიაში, 1 - დანიაში, 38 დივიზია დასავლეთ ფრონტზე მოქმედებდა, 2 იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში და 7 - ბალკანეთზე. მიუხედავად ოპერატიული ინფორმაციისა, წითელი არმიის საშუალო და დაბალი რანგის სარდლობა გერმანელთა თავდასხმას მოუმზადებელი შეხვდა. უამრავი საბჭოთა მებრძოლი სსრკ-ის საზღვრის გასწვრივ რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დანებდა მარშით მიმავალ ვერმახტის ჯარებს. ამის ერთადერთი ახსნა “პრევენციული დარტყმის თეზით” თუ შეიძლება, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ისტორიკოსთა გარკვეული წრის მიერ გაზიარებული იქნა და რომელიც ჯერ კიდევ მესამე რაიხის იდეოლოგების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ამ ინფორმაციის მიხედვით, საბჭოთა კავშირი თვითონ ემზადებოდა გერმანიაზე თავდასახმელად. ის ფაქტი, მართლა აპირებდა თუ არა სსრკ გერმანიაზე თავდასხმას და მართლა მზად იყო თუ არა წითელი არმია ასეთი ომისთვის, არ ამსუბუქებს ნაცისტური გერმანიის დანაშაულს ამ თავდასხმაში. სსრკ-ის წინააღმდეგ დაწყებული დაპყრობითი და გამანადგურებელი ხასიათის ომი იყო ჯერ კიდევ წლების წინ ჰიტლერის მიერ ფორმულირებული “აღმოსავლეთში საარსებო სფეროს” მოპოვების გეგმის დამასრულებელი ეტაპი.

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბედზე. გერმანია, იტალია და იაპონია გამოეთიშნენ მსოფლიოს, როგორც ძლიერი სახელმწიფოები. ევროპაში გადამწყვეტი როლი აშშ-ს და მსოფლიოში ახლად გაბატონებულ სსრკ-ს ჰქონდათ მას შემდეგ, რაც 1940 წელს გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო, ხოლო დიდი ბრიტანეთი უძლური იყო, დაემარცხებინა გერმანია. ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო (დედამიწის მოსახლეობის 80%). ბრძოლები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შეიარაღებულ ძალებში მობილიზებულ იქნა 110 მლნ. კაცი. დაიღუპა 62 მლნ. კაცი (სსრკ - 27 მლნ., გერმანია - 5,25 მლნ., პოლონეთი - 4,5-6 მლნ., იუგოსლავია - 1,7 მლნ., იაპონია- 1,8 მლნ., აშშ - 318.000, დიდი ბრიტანეთი - 386.000, საფრანგეთი - 810.000, იტალია - 330.000, რუმინეთი - 378.000, უნგრეთი - 420 000, ფინეთი - 84 000), სამხედრო ხარჯები და ზარალი 4 ტრილიონ დოლარს შეადგენდა.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

სააღდგომო ნობათი სათნოების სახლის ბინადრებს

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს დედოფლისწყაროს სათნოების სახლის ბენეფიციარებს.

თანამოქალაქეებს სააღდგომო საჩუქრები მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა, სოფელ სამრეკლოს წმ. სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის მოძღვარმა მამა გაბრიელ ბენიაიძემ, გამგებლის მოადგილეებმა და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა გადასცეს.

სათნოების სახლის ბენეფიციარებმა და სახლის თანამშრომლებმა სტუმრებს ზრუნვისთვის მადლობა გადაუხადეს. შემდეგ საქველმოქმედო აქცია დიალოგის რეჟიმში გაგრძელდა. სხვადასხვა საკითხებზე მასპინძელთა შეკითხვებს ირაკლი შიოლაშვილმა დეტალურად უპასუხა.

2013 წელს ჩვენს რაიონში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება

უკვე მერვე თვეა, საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობა კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს. ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენამ მოსახლეობას დიდი რწმენა და იმედი ჩაუსახა, რომ ქვეყნის წინსვლა მათი ძალისხმევით გარდაუვალი იქნება. მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი რეგიონებში, ხშირად ისმის კითხვებიც –რა გაკეთდა ამ დროის განმავლობაში, რას უნდა ველოდოთ ინფრასტრუქტურული კუთხით, გაუმჯობესდება თუ არა ცხოვრების პირობები?! ეს ის კითხვებია, რომელიც ხალხს აწუხებს და საკმაოდ ემოციურადაც ეკიდებიან ქვეყნის მომავალს.

გულწრფელი რომ ვიყო, მასალაზე მუშაობისას არაერთ რიგით ადამიანს გავესაუბრე. აღმოჩნდა, რომ ყველა მათგანი დღევანდელ რეალობას საკუთარი გადასახედიდან აფასებს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე უყურებს და სიმართლე გითხრათ, ყველა მათგანში დავიჭირე ის, რომ არც ერთს არ ადარდებს რეალურად ქვეყნის გედი, ოღონდაც ჰქონდეთ თბილი კერა და სტაბილური სამსახური. ეს ერთის მხრივ გამართლებულიცაა, ყველა ადამიანის სწრაფვა უკეთესი მომავლის და პიროგების შექმნაშია, თუმცა, დღეს ამ თემაზე საუბარი არ გახლავთ ჩემი სტატიის თემა. რა გაკეთდაო?!- გაკეთებულის პრეზენტირებისთვის მხოლოდ სოფლის მეურნეობის კუთხით განხორციელებული პროგრამის თემის ამოწევა ყველაფერს უდრის, რომელმაც მართლაც გულაცრუებული გლეხკაცობა მიწას დაუბრუნა და მისი დამუშავების ინტერესი ახალგაზრდებშიც გააღვივა. ხალხი ჩამოწერილ ანდა წლების წინ მიტოვებულ მიწას დაუბრუნდა. აქაურმა ხალხმა კარგად უწყის ისიც, რომ ვითომდა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ჩადებული მილიონები წლების მანძილზე ისე იხარჯებოდა და ისე უვლიდა გვერდს ჩვენს მეურნეობას, რომ მისგან სარგებელს ჩვენი გლეხობა ერთ „კალისტრა“ დიზელის საწვავს და ერთ ტომარა გვარჯილას თუ ნახავდა, თუმცა, ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს დახმარება სახელმწიფოსგან დიდ ვერაფერ საშველს აძლევდა მეურნე კაცს. წელს კი მთლიანად იქნა დაფარული მოხვნის და დადისკვის ხარჯები, რამაც ის ადამიანებიც კი მოაბრუნა მიწის ნაკვეთებისკენ, ვისაც მიწა წლებია მიტოვებული ჰქონდა. მეორე საკითხი, რაც ჩემს მიერ გამოკითხულ ადამიანებს აერთიანებდა, ინფრასტრუქტურული კუთხით ცხოვრების პირობების გაუმჯობესება გახლდათ. ამ მხრივ კი, წელს მართლაც უზარმაზარი სამუშაოები დაგეგმილი. პროექტებია უკვე შემუშავებული, ფინანსებიც დაშვებულია, ზოგიერთ პროექტზე უკვე ტენდერიცაა გამოცხადებული და გამარჯვებული კომპანიებიც გამოვლენილია. ასე რომ, ვინც არ იცის, ან მწირ ინფორმაციას ფლობს, შეუძლია თვალი გადაავლოს ამ სტატიას და გაიგოს, რომ ახალი მთავრობა მართლაც გულხელდაკრეფილი არ ზის და უამრავ გეგმასა და პროექტს ამუშავებს. წელს ჩვენს რაიონში ინფრასტრუქტურული კუთხით მართლაც უამრავი პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი. ამის შესახებ მინიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსს **სოლომონ ღორაშვილს** ვესაუბრეთ.

- რამდენადაც ცნობილია, წელს რამდენიმე საუბნო გზა ასფალტიანი საფარით იფარება, არსებობს წყლის მიწოდების გაუმჯობესების პროექტებიც. მოსახლეობას აინტერესებს, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი და კიდევ რა პროექტების დაფინანსებას ელოდებით?

- მართლაც ძალიან დიდი სამუშაო გეგმა გვაქვს, მთლიანი რაიონის მასშტაბით წელს დაგეგმილია 4 მილიონ 511 199 ათასი ლარის სამუშაოები, აქედან 465 682 ლარი სოფლის დახმარების პროგრამით დაფინანსდება, ადგილობრივი ბიუჯეტიდან განსახორციელებელი პროექტებისთვის გაწერილია 836 817 ათასი ლარი,მთლიანობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის 1 369,2 ლარი, არასამთავრობო ორგანიზაცია USAID-ის მიერ წელს განსახორცელებელი პროექტებიდან 93 700 ლარის სამუშაოები ჩატარდება, ხოლო დანარჩენ 2 500 000 ლარი საინვესტიციო თანხებით დაფინანსდება.

დავიწყოთ ქალაქ დედოფლისწყაროთი, სადაც შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები გველის: რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქალაქის სამუსიკო სკოლის შენობას, რომლისთვისაც 50 000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა დაიხარჯოს. წელს ჩასმულია ე. წ. „ჯარის წყლის“ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქალაქ დედოფლისწყაროში არსებული №1, №2, № 3 და № 4 ბაგა -ბაღების რეაბილიტაცია. აქედან №3 და №4ბაგა-ბაღში კარ-ფანჯრების შეცვლა, გაზიფიცირება და ოთახების კოსმეტიკური რემონტი იგეგმება, ხოლო მეორე და პირველ ბაგა-ბაღებში იგეგმება სველი წერტილების და დარჩენილი ოთახების კოსმეტიკური რემონტი.

ქალაქ დედოფლისწყაროს ჰერეთის და იორის ქუჩის გადაკვეთაზე დაგეგმილია საბავშვო გასართობი მოედნის მოწყობა, ასევე ტაბიძის ქუჩაზე არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, დაგეგმილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მესამე სართულის რეაბილიტაცია,დედოფლისწყაროში არსებული კულტურის სახლის რეაბილიტაცია და სახანძრო- სამაშველო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია. ჩასმულია 9 ძმის ქუჩის პირველ შესახვევთან არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, მოეწყობა რუსთაველის ქუჩის სამკუთხა ბორდიურის რეკონსტრუქცია და მასში მრავალნათურიანი ბოძის მოწყობა, ასევე იგეგმება რუსთაველის და ცხრა ძმის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული მცირე ბორდიურის რეაბილიტაცია, ქალაქ დედოფლისწყაროში სამშობლოს ერთიანობისათვის თავდადებულთა მემორიალის კეთილმოწყობა,ერეკლე მეორის და კოსტავას ქუჩებზე წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.

- რაც შეეხება რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებულ პროექტებს, ამაზე რას იტყოდით?

- რეგიონული განვითარების ფონდი გვიფინანსებს დედოფლისწყაროს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის პროექტს, წმინდა ელია თეზბიტელის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტს, ასევე დაგეგმილია თბილისის ქუჩის ავარიული მონაკვეთის, გამარჯვების ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის, პატატიშვილის, მთის, გურამიშვილის, ერეკლე მეორის ქუჩის სამი შესახვევის, ქიზიყის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის, ჩოლოყაშვილის ქუჩის ორი ავარიული მონაკვეთის, ქიზიყის ქუჩის ჩასახვევის რეაბილიტაციები.

- რაც შეეხება სოფლების ინფრასტრუქტურას, რა გაკეთდება ამ კუთხით ჩვენი რაიონის სოფლებში?!

- აქაც დიდძალი სამუშაოები გველოდება, კერძოდ, სოფელ ხორნაბუჯში მეგობრობის და ერეკლე მეორის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ტერიტორიაზე იგეგმება სკვერის და საბავშვო გასართობი ატრაქციონების მოწყობა; სოფელ ხორნაბუჯში არსებული საბავშვო ბაღის აივნის გადახურვა მეტალო- კრამიტით და წვიმსაწკრეტის მოწყობა. სოფელ ხორნაბუჯშივე დაგეგმილია ბეჟანიშვილის ქუჩის სრული რეაბილიტაცია, სოფელ ზემო მაჩხაანში რაიონის ბიუჯეტის ხარჯებით დაგეგმილია სოფლის საკუთრებაში არსებული სასოფლო- სამეურნეო ნაკვეთებში (თელაწყლის) მისასვლელი გზის რეაბილიტაცია,ფხოკაანთ უბანში წყლის რეზერვუარის მოწყობა და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა, ასევე, საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. სოფელ მირზაანში განხორციელდება საბავშვო ბაღის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, სოფელში სანიაღვრე არხის მოწყობა და სოფელ მირზაანში წყლის სატუმბი სადგურისთვის დამატებითი წყალშემკრები ავზის და წყალსადენი ქსელის მოწყობა. სოფელ არბოშიკში წელს დაგეგმილია ადმინისტრაციული შენობის 2 ოთახის რეაბილიტაცია, სოფლის საერთო სანიაღვრე არხის გაწმენდა და გამოტოვებულ უბნებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა,სოფლის ეკლესიასთან და ორ გამოტოვებულ უბანში გარეგანათების მოწყობა, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის აღდგენითი სამუშაოები.

სოფელ ოზაანში დაგეგმილია სკოლასთან და ეკლესიასთან მისასვლელ გზაზე გარეგანათების მოწყობა, სოფლის სასაფლაოს შემოღობვა და საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

სოფელ თავწყაროზე მოხდება გამოტოვებულ უბნებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და წყლის რეზერვუარის სიმაღლის აწევა, სოფელში მიმავალ გზაზე არსებულ რკინიგზის გადასასვლელზე ასფალტის საფარის მოწყობა.

სოფელ გამარჯვებაში იგეგმება შიდა გზების მოხრეშვა, სოფელ ჭოეთში მოეწყობა გარე განათება. სოფელ სამრეკლოში მოხდება გმირთა მემორიალის მესერის აღდგენა და საბავშვო ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ზემო ქედში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის შემოღობვა, მოიხრეშება წყალსაქაჩთან მისასვლელი გზები და მოხდება საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია.

სოფელ არხილოსკალოში მოიხრეშება საუბნო გზები, დაგეგმილია ღია საცურაო აუზის ხრეშით მოშანდაკება, მოეწყობა საბავშვო ბაღის სკვერი და გაკეთდება ატრაქციონები. დაგეგმილია სოფლის მოსახლეობის ნაკვეთებისკენ მიმავალ გზებზე ერთი ბოგირის მოწყობა და ორ არსებულ ბოგირზე რკინის კარების მოწყობა ,ასევე სოფელ არხილოსკალოს საბავშვო ბაღის აივნის ჭერის გადახურვა მეტალო კრამიტით და წვიმსაწკრეტის მოწყობა.

სოფელ ქვემო ქედში დაგეგმილია საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, მინი სპორტული მოედნის მოწყობა.

სოფელ სამთაწყაროში დაგეგმილია ჭაბურღილის სანასოსე კვანძის რეაბილიტაცია და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.

სოფელ ფიროსმანში მოსახლეობის მოთხოვნით ჩატარდება შიდა გზების მოხრეშვა,სოფლის სტადიონის შემოღობვა,სოფელში სარწყავი სისტემის მოწყობა და სოფელში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.

საბათლოში დაგეგმილი გვაქვს ჭაბურღილის სანასოსე კვანძის რეაბილიტაცია და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა, ხოლო პატარა შირაქის დასახლებაში დაგეგმილი გვაქვს მზის ენერგიის ბატარეების დამონტაჟება, რაც ამ დასახლებაში არსებულ ელექტროენერგიის უქონლობის პრობლემას აღმოფხვრის. ეს ყველაფერი სოფლებში რაიონის ბიუჯეტიდან და ზოგიერთ შემთხვევაში USAID-ის დაფინანსებითაა გათვლილი, ხოლო რაც შეეხება რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელ საქმეებს სოფლად, ეს გახლავთ - სოფელ ხორნაბუჯში ერეკლე მეორის ქუჩის რეაბილიტაცია, დუმბაძის ქუჩაზე არსებული ბოგირის რეაბილიტაცია, თავისუფლების ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის წყალმომარაგება, ჩოლოყაშვილის ქუჩის შესახვევში და არწივის ხეობაში მიმავალ გზაზე წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.

ასევე, რეგიონალური განვითარების ფონდიდან სოფლებში: ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ქვემო ქედში საკმაოდ სოლიდური თანხითაა დაფინანსებული სოფლებში ძველი ამორტიზებული წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაცია, ხოლო გამოტოვებულ უბნებში ახალი ქსელის მოწყობა. სულ ჯამში, რაიონში ინფრასტრუქტურული კუთხით ხუთ მილიონზე მეტი სამუშაოები ჩატარდება.

გარდა ამისა, საინვესტიციო ფონდის მიერ ფინანსდება და წელს გაკეთდება მდინარე ალაზნის ნაპირსამაგრი სამუშაოები, ქვემო ქედის ცენტრალური გზის სრული რეაბილიტაცია და მოხდება სოფელ გამარჯვებიდან თბილისის მიმართულებით გზის სრული მოასფალტება მელაანის გადასახვევამდე. ეს ყველაფერი დედოფლისწყაროს რაიონის წილად, დაახლოებით, 12 მილიონი ლარის ღირებულებისაა.

- იმდენი რამ ჩამოთვალეთ, ცოტა არ იყოს, დაუჯერებლად მეჩვენება ეს ყველაფერი. ამასთან, თითქმის ნახევარი წელი გავიდა და ლოგიკურია, დაისმება კითხვა, მოესწრება ყველა პროექტის წლევანდელ წელს განხორციელება?

- დამერწმუნეთ, რომ ყველაფერი რეალურია, თანხები დაშვებულია, ტენდერში გამარჯვებული კომპანიები პროექტების შემუშავებით და მისი წარმოდგენით არიან უკვე დაკავებულნი და მალე ყველაფერი რეალობად იქცევა.

ლალი მეხრიშვილი

გიორგობა ჰერეთში

ყოველ პარასკევს კახში საეკლესიო რიტუალი ჩატარდება

ჰერეთში ასი წლის შემდეგ სასულიერო პირის ხელდასმა პირველად ჩატარდა. გიორგობის დღესასწაულზე ჰერეთში მამა მიქაელი ბერ-დიაკვნის ხარისხში აიყვანეს და აკურთხეს. ხორნაუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ, გიორგობის სადღესასწაულო წირვა კახის წმინდა გიორგის მონასტერში შეასრულა.

მეუფე მელქისედეკმა ასევე პარაკლისი გადაიხადა წმინდა მღვდელმონამე მიქაელ (ყულოშვილის) საფლავზე, შემდეგ ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარში, ხოლო ბოლოს სოფელ ქოთოქლოს სამების ტაძარში იმყოფებოდა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ცერემონიას დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი და „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზვიად ჯავახიშვილი ესწრებოდნენ.



„ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია დღითიდღე ფართოვდება და მნიშვნელოვანია, რომ საუკუნოვანი პაუზის შემდეგ ეს რიტუალი ისტორიულ საინგილოში ჩატარდა. ინგილოები ჩვენი სისხლისმიერი დები და ძმები არიან და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მათ მართლმადიდებლურ რიტუალებზე და წირვა-ლოცვებზე დასწრების საშუალება ხშირად მიეცეთ, რათა რწმენა უფრო განიმტკიცონ,“ — აცხადებდა დედოფლისწყაროდან ჰერეთში ჩასული მრევლი.

ამავე დღეებში, ბერად აღკვეცის რიტუალი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში პირველად ჩატარდა. 26 აპრილს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა ბერად აღკვეცა მამა მიქაელი, წმინდა ელია თეზბიტელის მამათა მონასტერში. მამა მიქაელს ჩვენი ეპარქიის წმინდანის მღვდელმოწამე მიქაელის (ყულოშვილის) სახელი ებოძა.

შეგახსენებთ, 2009 წელს დედოფლისწყარო ბოდბის ეპარქიას გამოეყო და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიად ჩამოყალიბდა, სადაც ისტორიული ჰერეთი და იქ მდებარე ქრისტიანული ტაძრებიც გაერთიანდა.

ცნობილია, რომ ისტორიულ ჰერეთში მდებარე მართლმადიდებლურ ტაძრებში წირვა-ლოცვას ინტენსიური ხასიათი არ აქვს. ამაზე ქრისტიანები წუხილს ხშირად გამოხატავენ.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსსა და კახის რაიონის წმინდა გიორგის ტაძარში წირვა-ლოცვის ჩატარებასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი აბულფაზ გარაევი პრინციპულ სირთულეებს ვერ ხედავს.

როგორც აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის მინისტრმა განაცხადა, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის იმ მონაკვეთზე, რომელიც აზერბაიჯანის მხარესაა მოქცეული, მომლოცველებსა და ტურისტებს გადასვლა დაბრკოლებების გარეშე შეუძლიათ.

მინისტრის განმარტებით, ახლახანს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კახის რაიონში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში საეკლესიო რიტუალები კვირაში ერთხელ, პარასკევს ჩატარდება.

„სხვა დღეებში ის ტურისტებისთვის იქნება განკუთვნილი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი“,-აღნიშნა აზერბაიჯანის კულტურის მინისტრმა და ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთებული წარწერის შესახებაც ისაუბრა, სადაც აღნიშნულია, რომ ტაძარი ალბანური წარმოშობისაა.

„კავკასიაში ქრისტიანობა ალბანეთიდან შემოვიდა. აზერბაიჯანელებიც მე-8 საუკუნემდე ქრისტიანები ვიყავით და შემდეგ გავრცელდა ჩვენთან ისლამი. უნდა ვაღიაროთ ალბანური სახელმწიფოს გავლენა რელიგიასთან დაკავშირებით. ეს საერთო კულტურის ძეგლებია. აზერბაიჯანის ხელისუფლება ვალდებულებას იღებს, დაიცვას, დააკონსერვოს და რესტავრაცია ჩაუტაროს ამ ძეგლებს“,- განაცხადა აბულფაზ გარაევმა.

მისივე ინფორმაციით, ქართველებით დასახლებულ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მალე ქართული კულტურის სახლი გაიხსნება, რაც საშუალებას იძლევა, ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობები განვითარდეს.

აზერბაიჯანის კულტურის მინისტრი საქართველოში ორდღიანი, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. მან შეხვედრა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიასთან დახურულ კარს მიღმა გამართა.

მინისტრებმა აღნიშნეს, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ვითარდება და მათ შორის კულტურული ურთიერთობებიც პერსპექტიულია.

გურამ ოდიშარიას განცხადებით, ის ზაფხულში ისტორიულ ჰერეთს ესტუმრება და ქართველებით დასახლებულ ადგილებს მოინახულებს. ოდიშარიას მასპინძლობას და მეგზურობას აბულფაზ გარაევი გაუწევს. საპასუხოდ აბულფაზ გარაევი საქართველოში ჩამოვა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებსა თუ ქალაქებში მისი მასპინძელი გურამ ოდიშარია იქნება.

ილია მარტყოფლიშვილი

კახეთის „ახალგაზრდული ფორუმი“ საინტერესო პროექტებით

კახეთის რვავე რაიონიდან საჯარო სკოლებში შექმნილი ჯგუფები საზოგადოებისთვის საჭირო რამდენიმე პროექტის განხორციელებას იწყებს. მათ შორის არიან დედოფლისწყაროელი ახალგაზრდებიც. კახეთის რეგიონიდან 63 საჯარო სკოლის მოსწავლეებისგან დაკომპლექტებულმა ჯგუფებმა საკუთარი პროექტების პრეზენტაცია თელავში მოაწყეს.

27 აპრილს თელავის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა კახეთის რეგიონალურ ახალგაზრდულ ფორუმს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სადაც მოწვეული იყვნენ კახეთის რეგიონის 63 პარტნიორი საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კახეთის ყველა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ბიზნეს სექტორისა და მედია საშუალებები.

შეხვედრას სხვა რაიონებისგან განსხვავებით მრავლად ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს წარმომადგელები. ბიზნეს სექტორიდან გოგი კიკილაშვილი, არასამთავრობო სექტორიდან ამირან კოდიაშვილი, ხოლო თვითმმართველობის ორგანოდან დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი. სტუმრის და შემდეგ უკვე პარტნიორის სტატუსით პრეზენტაციას გაზეთი „შირაქიც“ ესწრებოდა.

ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო კლუბების წევრების საპროექტო იდეებზე მუშაობა და წარდგენა მუნიციპალიტეტების მიხედვით და მხარდაჭერისთვის პროექტის იდეის წარდგენა დამსწრე საზოგადოებას. პროგრამის განხორციელების ფარგლებში კახეთის რეგიონის პარტნიორ სკოლებში შეიქმნა სამოქალაქო კლუბები, სადაც აქტიურად მონაწილეობას ღებულობდნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები.

პროექტების პრეზენტაციების ციკლი დედოფლისწყაროელმა ახალგაზრდებმა გახსნეს. მათ მიერ მომზადებულ პროექტს ჰქვია DSA ანუ Dedoplistskaro Students Association და გულისხმობს ადგილობრივი სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერებასა და რაიონში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლების ხელშეწყობას. პროექტს დედოფლისწყაროს №2 სკოლის მოსწავლე სოფიო მენთეშაშვილი ხელმძღვანელობს.

ამისთვის, დედოფლისწყაროს №1, №2, ხორნაბუჯისა და არბოშიკის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბების მოსწავლეთა მიერ ჩატარდება ტრენინგები გამარჯვების, ხორნაბუჯის, ზემო მაჩხაანისა და ოზაანის სკოლების მოსწავლეებისთვის და შედეგად შემოდგომაზე ჩატარდება თვითმმართველობების არჩევნები.

ასევე, ჩამოყალიბდება საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანდებიან ამ სკოლების აქტიური მოსწავლეები, რომლებიც ზაფხულში ხორნაბუჯის ციხის, ან ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაატარებენ ერთდღიან კულტურულ ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ნიჭით გამორჩეული ადგილობრივი ახალგაზრდები. იგეგმება, რომ ამ ფესტივალმა ტრადიციული სახე მიიღოს და უფრო გაფართოვდეს სხვა მონაწილეების დამატების გზით.

პრეზენტაციაზე მოსწავლეებმა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას აუწყეს, რომ ესაჭიროებოდათ დახმარება საოფისე ფართის, ტრანსპორტირების, ასევე ფესტივალის ორგანიზებაში და მათ შორის მედიის თანადგომის კუთხით.

ამ პროექტს დედოფლისწყაროელი მოსწავლეები გაზეთ „შირაქისა“ და ინტერნეტგამოცემა qiziyi.ge-ს აქტიური მხარდაჭერით განახორციელებენ. მათ მედიის საინფორმაციო მხარდაჭერა ესაჭიროებათ, ამისათვის სტუმრებმა და მათ შორის მედიამ მხარდაჭერა შეხვედრაზევე წერილობით დააფიქსირა.

დედოფლისწყაროში მოქმედი მედია მათ საინფორმაციო მხარდაჭერას ინტენსიურად გაუწევს. არასამთავრობო ორგანიზაციები მათ საჭირო საოფისე ფართით და ნერგებით უზრუნველყოფას დაპირდნენ, რომელიც ამირან კოდიაშვილმა საკუთარ თავზე აიღო. ბიზნესმენი გოგი კიკილაშვილი ფესტივალის ორგანიზებისას საჭრო ფულადი რესურსებით, მათ შორის პრიზების შეძენითა და გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვით გამოხატავს მხარდაჭერას. ხოლო, გამგეობა პროექტის მსვლელობისას მოზარდებს ტრანსპორტირებასა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებში დახმარებას გაუწევს.

„ახალგაზრდული ფორუმი“ 2013 წლის სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების პროგრამაა, რომლის მიზანია სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება. ასევე, დახმერება გაუწიოს ახალგაზრდებს ცოდნის ამაღლებაში, დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაში, გააქტიუროს მათი მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში და საჯარო სკოლებმა უზრუნველყონ ხარისხიანი სამოქალაქო სწავლება IX - XII კლასის მოსწავლეთათვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რათა მათ შეძლონ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და ხელი შეუწყონ საზოგადოების მონაწილეობას სამოქალაქო და დემოკრატიულ პროცესებში.

„კმაყოფილი ვართ ამ პრეზენტაციით, რადგან სხვა რაიონებისგან განსხვავებით, ჩვენი რაიონის წარმომადგენლებმა სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადეს და ვინც მოვიწვიეთ, ყველა მათგანმა მოახერხა თელავში ჩამოსვლა და დასწრება. ეს დიდი სტიმული იყო ჩვენთვის და იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ამ პროექტის განხორციელებაში არიან ჩართულნი. ასევე, ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რომ პროექტის განხორციელების პროცესში მხარდაჭერა აღგვითქვა დედოფლისწყაროდან ჩამოსულმა ყველა სტუმარმა, რისთვისაც მადლობა გვინდა გადავუხადოთ მათ. უნდა ითქვას, რომ დღეს დედოფლისწყარო ერთ-ერთი აქტიური იყო,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ, ახალგაზრდული ფორუმის ფასილიტატორმა კახა კოტაშვილმა.

შეხვედრა ლანჩით დასრულდა. დასასრულს პროექტში ჩართულ მოსწავლეებს სპეციალური სერთიფიკატები გადაეცათ. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, პროექტი უკვე დაიწყო და მიმდინარე წლის ოქტომბერში დასრულდება. პირველ ეტაპზე ახალგაზრდებისგან საინიციატივო ჯგუფები შეიქმნება, მას შემდეგ, რაც ისინი სრულწლოვანობის ასაკს მიაღწევენ, ისინი არასამთავრობო ორგანიზასაც შექმნიან.

ილია მარტყოფლიშვილი

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და წვრილფეხა საქონლის დიქტიოკაულოზი

შინაური მცოხნავი საქონლის დიქტიოკაულოზის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს პარაზიტები, ნემატოდების Dictoycaulidae -ს ოჯახიდან.

ისინი ძირითადად შუა და მსხვილ ბრონქებში ლოკალიზდება, იშვიათად ტრაქეაში.

დიქტიოკაულოზებს ახასიათებს ძაფისებრი სხეული, ღია ნაცრისფერი, რძისფერი ან ღია ჩალისფერი-მოყვითალო ფერის, მსხვილფეხა რქ. პირუტყვის დიქტიოკაულოზის გამომწვევია. ნემატოდა Dictoycaulus viviparous - აღმძვრელი მოყავისფრო-მოყვითალო ფერის არის, მამრების სხეულის სიგრძე 17-44 მმ-ის ტოლია, მდედრების - 23-73 მმ, ღია მოყვითალო ფერის, კვერცხის ზომა ტოლია (0,112 - 0,138) X(0,069X0,090) მმ, ღია ყავისფერი ოვალური.

წვრილფეხა რქ. პირუტყვის დიქტიოკაულოზის გამომწვევია ნემატოდა Dictyocaulus Filaria, აღმძვრელი რძისფერი-ნაცრისფერი, მსხვილი ნემატოდაა, მამრების სიგრძე 30-80 მმ-ია, მდედრების კი 50-150მმ.

დიქტიოკაულოზის გამავრცელებლები არიან მოზრდილი ცხოველები, რომლებიც კლინიკურად გამოხატული ფორმით იშვიათად ავადდებიან.

დიქტიუკაულუსების ლარვები მოხვდებიან რა პირის ღრუში ახდენენ მიგრაციას ღვიძლის, გულის, ფილტვების გავლით, ხვდებიან ბრონქებში, სადაც იზრდებიან სქესობრივად სრულ სტადიამდე.

1. D. Filaria - მატლები ოპტიმალური ტემპერატურის დროს (16-28°C) აღწევენ ინვაზიურობას 5-8 დღე-ღამეში,

2. D. Viviparous - მატლები ამთავრებენ თავიანთ განვითარებას 3-5 დღე-ღამეში.

ამასთან მ.რ.პ დიქტიოკაულუსები აღწევენ იმაგოს სტადიას 21-28 დღე-ღამეში.

ცხვრებში ჰელმინთების სიცოცხლის ხანგრძლივობა აღწევს რამოდენიმე თვიდან ორ წლამდე, ხოლო მს. რქ. საქონელში 1,5 თვიდან 12 თვემდე.

ინვაზიის მაღალი დონე აღინიშნება აგვისტოს მეორე ნახევარსა და სექტემბრის დასაწყისში.

მოცემული წლის პირობებში ზემოთ აღნიშნული თარიღები შეიძლება იცვლებოდეს 10-15 დღე-ღამით.

დაავადებების ნიშნები: დაავადების პათოგენების განვითარების შესაბამისად აღინიშნება მშრალი ხველა, რომელიც შემდგომ გადადის სველ ხველებაში. ცხვირის ღრუდან გამოდის ლორწოვანი გამონადენი, სუნთქვა ზედაპირულია და გახშირებული.

მატლების მიგრაციის ინტენსივობიდან გამომდინარე, წვრილი ნაწლავის ლორწოვან ფენაში ირღვევა საჭმლის მონელების ფუნქცია, აღინიშნება მწვავე და ქრონიკული ინვაზიის მიმდინარეობა.

დაავადების გართულებები; მიკრობრონქიტი, ბრონქიტი, პერიბრონქიტი, კერული ბრონქოპნევმონია -შეიძლება გართულდეს კატარალური - ჩირქოვანი პნევმონიით.

მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების დეჰელმინთიზაცია ხდება ერთი და იგივე პრეპარატებით.

დიქტიუკაულოზის სამკურნალო საშუალებები

1. პრომექტინი
2. ბიომექტინი
3. ვილმექტინი
4. ვილმექტინ F
5. ლევამიზოლი 7.5%
6. ფენბექსი 500, 250
7. ალბექსი 250, 400, 600, 3000

რეკომენდირებული სქემები დიქტიოკაულოზის სამკურნალოდ

1. პრომექტინი (ვილმექტინ, ვილმექტინ ф,ბიომექტინი) 1მლ. 50კგ. ც. წონაზე კანქვეშ- გამეორება შეგიძლიათ 21 დღეში.

2. ლევამიზოლი 7,5 %-იანი 1მლ - 10კგ. ც. წონაზე კუნთში, კანქვეშ მ.რ.პ, წ.რ.პ.-სთვის - კანქვეშ.

3. ლბექსი 3000 - 1 აბი 200 კგ. ც. წონაზე დალევინებით, გამეორება 20 დღეში, თუ ახველებდა და ხველება შეუჩერდა, მაშინ გავიმეოროთ ალბექსი 3000 -ით, თუ არა პრომექტინით 1მლ. 50კგ. ც.წონაზე კანქვეშ.

4. ლევამიზოლი 7,5% 1მლ-10კგ.ც.წონაზე მ.რ.პ - კანქვეშ, კუნთში. წ.რ.პ. -ში კანქვეშ 1მლ-10კგ.ც.წონაზე, ორ კვირაში - ალბექსი - 3000, 1 აბი 200 კგ. ც. წონაზე

5. ფენბექსი - 500 (250) - 20-25 კგ. ცოცხალ წონაზე დალევინებით, 2 კვირაში გავიმეოროთ. ფენბექსი 250 1 აბი 17 კგ.ც. წონაზე.

მკურნალობის შემთხვევაში დოზა სამმაგდება და ერთი აბი ფენბექსი 500 ეძლევა 17-20 კგ. ც. წონაზე სამი დღის განმავლობაში. ფენბექსი 250 -1 აბი 8-10 კგ. ც. წონაზე 3 დღის განმავლობაში.

მეხუთე ვარიანტი არის უნივერსალური, ის შეიძლება გამოვიყენოთ მაკეობის, ლაქტაციის პერიოდის დროს.

მოზარდისთვის ჩამონათვალი პრეპარატებით ანტიჰელმინთური დამუშავება რეკომენდირებულია წლის ნებისმიერ დროს საჭიროების მიხედვით.

მაკეობის ბოლო 20-30 დღე არ არის რეკომენდირებული ივერმექტინების რიგის პრეპარატების გაკეთება.

ლევამიზოლს შეზღუდვა აქვს საქონელში მაკეობის ბოლო მესამედში, ასევე არ უკეთდება დასუსტებულ საქონელს. მ.რ.პ -სთვის კეთდება კანქვეშ ან კუნთში, წვრილფეხაში კანქვეშ.

თუ ცხოველს მიღებული აქვს ფოსფორ ორგანული პრეპარატები, ლევამიციტინი, მაშინ ინექცია კეთდება 10 დღის შემდეგ.

ალბექსი 3000 (250, 400, 600)-ით შეგვიძლია ჩავატაროთ პროფილაქტიკური დამუშავება, შეზღუდვა მაკეობის ბოლო მესამედში.

დამუშავება ხდება ძირითადად გაზაფხულზე (მარტი, აპრილი) ზაფხულში (აგვისტო) ძირითადად საძოვარზე, შემოდგომაზე (სექტემბერი) უნდა გავითვალისწინოთ რომ ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში ყველა ასაკობრივი ჯგუფის ცხოველი ავადდება უფრო ინტენსიურად. შემოდგომაზე დაავადება მიმდინარეობს ლატენტურად (ფარულად), ამიტომ (ოქტომბერ-დეკემბერში) აუცილებელია ცხოველის პროფილაქტიკური დამუშავება - პრომექტინით (ვილმექტინ, ვილმექტინ F, ბიომექტინი)

დიქტიოკაულოზის გართულებების შემთხვევაში (ბრონქოპნევმონიები), ვაკეთებთ ანტიბიოტიკურ თერაპიას მაგ - ოქსიტეტრაციკლინ - 200 1მლ-ს 10 კგ ც.წონაზე კუნთში - ერთჯერადად, პრიმავილინი, იზოქსიტეტრა, გენტაპრიმი 1მლ 10 კგ ც.წ.-ზე კუნთში დღეში ერთხელ, 3-დღე.

მძიმე შემთხვევაში ოქსიტეტრაციკლინ - 200-ს და გენტაპრიმი ერთად, ან მარტო „პენბექსი"-ს - 1მლ 10-15 კგ. ც. წონაზე კუნთში დღეში ერთხელ, 3-5 დღე.

გვახსოვდეს!

დიქტიოკაულოზზე აუცილებელია დროული მკურნალობა, დაგვიანების შემთხვევაში მსხვილი ბრონქების, ტრაქეის პარაზიტებით დაცობის შედეგად ცხოველი იღუპება.

დაავადებული ცხოველი სუსტია, გამხდარი, აქვს ცუდი მადა. ჰელმინთები მიგრაციის დროს აზიანებენ ქსოვილებს, ორგანოებს, ჰელმინთებს. იწვევენ პათოლოგიური მიკროფლორის თავმოყრას.

მიხეილ ჭიჭაყუა
„ასოციაცია მომავლის ფერმერი„
მთ. ვეტ-ექიმი
ბიოლოგიის დოქტორი





შეიძინეთ ჰერბიციდები და ვენახის წამლები შპს აგროქიზიყის მაღაზიაში

6 თვიანი უპროცენტო განვადებით,

მხოლოდ პირადობის მოწმობით.

შეძენილი საქონლის მაქსიმალური თანხა შედგენს 5000 ლარს

სასუქები, გვარჯილა, ჰერბიციდები, პესტიციდები, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, მოტორიანი ხერხები, ცელები, შესასხურებლები, ვეტერინარული პრეპარატები და სხვა

შეიძინეთ

„აგროქიზიყი"-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

„კონკერი"

ყველაზე ეფექტურად ებრძვის

შვრიუკას

შეიძინეთ

„აგროქიზიყი"-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

1 ლიტრის ფასი - 79 ლარი!!!

შეიძინეთ „აგროქიზიყში" 6 თვიანი

უპროცენტო განვადებით!!!

წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული

წმ. ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომ მას ეწოდა პირველწოდებული. წმიდა ანდრიამ სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი და როცა ისრაელში ქუხილივით გაისმა წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მოწაფე გახდა. მაცხოვრის გამოჩენისას, წმიდა იოანემ ანდრიას და იოანე ღვთისმეტყველს მიმართა: „აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ“. ამ სიტყვებზე ორივენი თან გაჰყვნენ იესოს. შემდეგ კი ანდრია ძმასთან, პეტრესთან მივიდა, მესიის პოვნა ახარა, ისიც იესოსთან მიიყვანა და მას დაუმოწაფა. ქრისტეს დამოწაფებული ძმები კვლავ ჩვეულ საქმიანობას განაგრძობდნენ და თევზაობით ირჩენდნენ თავს. ერთხელ გალილეის ზღვის ნაპირას მიმავალმა მაცხოვარმა მოუწოდა მას: „მოვედით და შემომიდეგით მე და გყვნე თქვენ მესათხევლე კაცთა“. რის შემდეგაც ისინი განუყრელად თან ახლდნენ ძე ღვთისას და მისი სასწაულების, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მოწმეებიც გახდნენ.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, „რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა“ საქადაგებლად, ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ, რადგან მისი მიცვალების ჟამი მოახლოებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატით. ყოვლადწმიდა ქალწულმა მოუწოდა წმიდანს და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა, „დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა“. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი. ეს სიწმიდე ზეციურმა დედოფალმა ანდრიას გადასცა და დიდ ღვაწლს შემდგარი, აკურთხა. წმიდა ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია, შემდეგ კი შავიზღვისპირეთს მიაშურა, „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“.

სოფელ დიდაჭარაში დღემდეა შემონახული ტაძრის ნანგრევები, რომელიც, გადმოცემით, თავად წმიდა ანდრია პირველწოდებულს აუშენებია.

ნეტარს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ურწმუნოთაგან, მაგრამ ღვთისა და პატიოსანი ხატის მეოხებით ყველაფერი მადლობით დაითმინა, „ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნოებად“. იმ ადგილას, სადაც მოციქულმა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, „ფრიად შუენიერი და დიდი“ წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალ წარმართს გაუნათა გონება და შეუდგნენ ქრისტეს მაცხოვნებელ სწავლებას. მოციქულმა ახალმოქცეულთ დაუდგინა მღვდლები და დიაკვნები. „დაუდგინა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა“, აუგო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც ფიცარზე ზეციური დედოფლის ნაბოძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ასლი დააბრძანა. ამის შემდეგ უფლის რჩეულმა გადაიარა ფერსათის მთა და აქ ჯვარი აღმართა (სწორედ ამის გამო ეწოდა ამ მთას „რკინის ჯვარი“). მოციქული შემდეგ სოფელ აწყურში მივიდა, რომელიც ადრე სოსანგეთად იწოდებოდა. ამ დროს ამ მხარის გამგებელი იყო ქვრივი სამძივარი, რომელსაც ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. სწორედ ამ დროს მას შვილი მოჰკვდომოდა. ქვრივს შეატყობინეს, რომ იქ იყო ერთი ადამიანი, რომელიც უცნობ ღმერთზე ლოცულობდა. ამ ცნობამ მას გულში იმედი ჩაუსახა და მოციქული თავისთან იხმო. წმიდა ანდრიამ ქვრივი დედაკაცის ერთადერთი ძე მკვდრეთით აღადგინა. გახარებულმა ქალმა მადლობით ირწმუნა უფალი იესო ქრისტე, თავის შვილთან ერთად მოინათლა და სამცხის მთავრებს წერილი მისწერა, ამ ამბავს ატყობინებდა და ყველას თავისთან იხმობდა. „ვითარცა ესმა მესხთა ამბავი ესე საკვირველი, მსწრაფლ შეკრბეს ყოვლით კერძო და იქმნა სიმრავლე ერისა ფრიადი“. მოვიდნენ საკერპოს მსახურნიც. ხალხი ორად გაიყო; ნაწილი იძახდა, „ჯერ არს თაყუანის-ცემად, რომელმა ესე ვითარი სასწაული აღასრულა“, სხვები კი კვლავ ცრუ ღმერთების ერთგულნი რჩებოდნენ. ციცხლობა რომ ჩაეცხროთ, გადაწყვიტეს, საკერპოში ღვთისმშობლის ხატი შეებრძანებინათ, შემდეგ კი კარი დაეხშოთ. მაცხოვრის მსასოებლებს - ქრისტეს მიმართ, კერპთმსახურებს კი - თავიანთი ღვთაებისადმი უნდა ელოცათ. დახშულ ტაძართან მცველები დააყენეს. დილით, როცა კარი გააღეს, ყველამ იხილა „კერპები ქუეყანად დათხეულნი და სახედ მტუერისა შემუსრვილნი, ხოლო ხატი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა ბრწყინვიდა, ვითარცა მზე, დიდებითა და პატივითა“. წმიდა ანდრიამ აწყურში მოანყო ეკლესია და მცირე ეკვდერში ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, შემდეგ კი ახალმოქცეულ სამწყსოს განეშორა და გზა განაგრძო: იყო კლარჯეთში, არტაანკოლაში, პართეთში, სომხეთში, შემდეგ კი იერუსალიმში წავიდა.

იერუსალიმთან ანდრია სვიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად ისევ საქართველოში დაბრუნდა. ისინი ქართლში შევიდნენ, განამტკიცეს ქრისტიანობა და „დაჰყვნენ დასავლეთით, განვლეს ტაოს კერძო ქვეყანა ვიდრე ჭოროხამდე“, იყვნენ სამეგრელოსა და სვანეთში. სვიმონი და ანდრია აფხაზეთში წავიდნენ „ხოლო დიდი ანდრეა სვიმონითურთ... შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და უქადაგეს სიტყუა იგი ღუთის-მეცნიერებისა და მრავალთა სიხარულით შეიწყნარეს ქადაგება იგი და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრეა სვიმონ კანანელი სხვათა თანა მოწაფეთა და თავად ჯიქეთისა ქუეყანად ავიდა“. ჯიქეთის მკვიდრმა მოსახლეობამ არა მარტო უარი განაცხადა მისი ქადაგების მიღებაზე, არამედ მოციქულის მოკვლაც კი გადაწყვიტა. მათი სიჯიუტე და უხეში გონება რომ დაინახა, მოციქულმა მიატოვა ისინი და წავიდა. წმიდა ანდრია მოციქული სკვითთა ქვეყანაში, დღევანდელ რუსეთშიც ყოფილა. მდინარე დნეპრს აჰყოლია იმ ადგილამდე, სადაც ამჟამად ქალაქი კიევი მდებარეობს.

უკანასკნელი ქალაქი, სადაც მოციქულმა იქადაგა, პატრა (საბერძნეთი) იყო, წმიდანის ლოცვით ამ ქალაქში უამრავი ადამიანი მოექცა ქრისტეს სჯულზე, მაგრამ ქალაქის თავი ეგაეტი კვლავ ერთგული რჩებოდა ცრუ ღვთაებისა. უღმრთო ხელისუფალმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ უფლის რჩეული. წმიდანი სიხარულით შეხვდა განაჩენს და თავისით ავიდა ჯვარზე. ტანჯვა რომ გაეხანგრძლივებინა, ეგაეტმა ბრძანა, ძელზე კი არ მიელურსმნათ, არამედ დაეკიდათ ნეტარი. წმიდა მოციქული ორი დღე ქადაგებდა ირგვლივ შეკრებილთა წინაშე. ბოლოს, წმიდანის მადლმოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოეხსნათ იგი. უღმრთო ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინათ წმიდანი, მაგრამ ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა. მეომრები დიდხანს ამაოდ ცდილობდნენ მის ჩამოხსნას. წმიდანმა „აღიხილნა თუალნი ზეცად და მადლობა შესწირა უფალს და აკურთხნა მორწმუნენი იგი ჯუარსა დამოკიდებულმან“. და ასე, ღვთისადმი მადლობით აღესრულა წმიდანი. ქალაქის მმართველის ცოლმა მოციქულის ცხედარი ჯვრიდან ჩამოხსნა და პატივით მიაბარა მიწას. რამდენიმე საუკუნის შემდეგ კონსტანტინე დიდი ზეობისას წმიდა მოციქულის უხრწნელი ნაწილები პატივით დაასვენეს კონსტანტინეპოლში და წმიდა მოციქულთა ტაძარში დააბრძანეს ლუკა მახარებლისა და ტიმოთე მოციქულის ნაწილთა გვერდით.

თ ა მ ა რ ო ბ ა



თამარ მეფე იყო დავით აღმაშენებლის შვილიშვილის გიორგი მესამისა (1156-1184წწ.) და დედოფალ ბურდუხაის ქალიშვილი. თამარ ბაგრატიონი დაიბადა 1166 წელს. გიორგის ვაჟი არ ჰყავდა. ქალის გამეფება იმ დროს არათუ საქართველოში, მსოფლიოშიც იშვიათი მოვლენა იყო. გიორგიმ გადაწყვიტა, თავის სიცოცხლეშივე გაემეფებინა თამარი, რათა შემდგომში მას სირთულეები არ შექმნოდა. 1179 წელს გიორგიმ თანამოსაყდრედ აკურთხა იგი. მამა-შვილი ერთად მართავდა სამეფოს.

1184 წელს გიორგი III გარდაიცვალა და 18 წლის თამარი გახდა ერთპიროვნული მმართველი, საქართველოს პირველი ქალი მეფე.

თამარი გონიერი მეფე გამოდგა. მან ღირსეულად განაგრძო დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის დაწყებული საქმე. სახელმწიფო მმართველობის სისტემა, რომლის რეფორმაც დაიწყო დავით IV აღმაშენებელმა, საბოლოო სახით ჩამოყალიბდა თამარის მეფობის დროს.

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველო იყო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, დაწინაურებული და უზარმაზარი სახელმწიფო. ერთიანი საქართველოს სახელმწიფო გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე. ქართველები ამ პერიოდს უწოდებენ “ოქროს ხანას”.

გამუდმებულმა მარხვამ, ფეხშიშველმა ლიტანიობამ, მონასტრის ქვის სარეცელზე წოლამ და სამეფო ღვაწლმა მეფეს ჯანმრთელობა მალევე შეურყია. თამარ მეფე გარდაიცვალა 1213 წელს 49 წლის ასაკში და, სავარაუდოდ, დასაფლავებულ იქნა გელათის საკათედრო ტაძარში. არსებობს მოსაზრება, რომ შემდგომში შესაძლოა იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაასვენეს. თუმცა, ზუსტი მონაცემები მისი საფლავის შესახებ არ არსებობს.

ქართულმა ეკლესიამ თამარ მეფე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 1(14) მაისი დაანესა.

სურენა და სირანა კოხტაშვილები



ჩვიდმეტი წელი გავიდა, ჩვენო საყვარელო მამა, რაც მოულოდნელად დაგვტოვე და მარადისობაში გადაინაცვლე, ხოლო ექვსი წლის წინ ჩვენი ამაგდარი ბებიაც შენსკენ გამოეშურა. ალბათ როგორ ჩაგიკრავდა გულში ერთადერთ შვილს, გაუსაძლისი ტკივილიანი მონატრებით აღსავსე მოხუცი დედა.

დრომ ვერ გაანელა თქვენი წასვლით გამოწვეული ტკივილი, რამდენი სიხარული გვეწვია, მაგრამ ამ სიხარულს მხოლოდ თქვენს სამარესთან მოსულები გიზიარებთ ჩუმი მონატრებით.

ჩვენო ბებიავ, შენი ერთადერთი სურენას ოჯახი გავმრავლდით, თქვენს სახელს ყველა ვუფრთხილდებით, ყველას ბედნიერი ოჯახები გვაქვს. აგერ უკვე თქვენმა საფიცარმა სოფიკომ ლამაზი ქართული ოჯახი შექმნა გიორგისთან ერთად. გვჯერა მათი ბედნიერებით თქვენც გაიხარებდით.

უფლის ბრწყინვალე აღდგომას გილოცავთ, ჩვენო ძვირფასო ადამიანებო და შევთხოვთ უფალს, სასუფეველი დაუმკვიდროს თქვენს სულებს, ჩვენ კი კიდევ მრავალჯერ აგინთებთ სანთლებს და ვილოცებთ თქვენი სულებისთვის.

თქვენი ოჯახი

ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ზეზვა ქისტაურის ოჯახს
ალიკა ქისტაურის
გარდაცვალების გამო.

ლია ფიროსმანაშვილი, იზო ზედელაშვილი, ანგელინა ღორაშვილი, ჟუჟუნა ჯაგაშვილი, ციური ბენაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მარინა მჭედლიშვილს მეუღლის და ნინო და ზაზიკა ზურიკაშვილებს მამის
ზაზა ზურიკაშვილის
გარდაცვალების გამო.

ფირუზ ბურდულის ოჯახი იუწყება
სოსო გილანიშვილის და
ალიკა ქისტაურის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს.

ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს თამარ ჩარბოდაშვილს
სოსო გილანიშვილის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ცირა ქისტაურს ძმის
ალიკა ქისტაურის
გარდაცვალების გამო.

სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ თანამშრომლები იუწყებიან
სოსო გილანიშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

„დაიჯერებთ, რომ პარაშუტისტი ვიყავი!?“

რედაქციას ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და გულშემატკივარი ქალბატონი ლია ხუციშვილი ესტუმრა და თავისი სურვილი გამის ცხოვრება სისხლსავსე, ხალისიანი და საქმიანი იყო. ეს იმიტომ, რომ ქალბატონი ლია თავად გახლდათ ინიციატივიანი და პროგრესულად მოაზროვნე. სიყვარული სკოლის მერხზეევე ეწვია და ჯემალ მერაბიშვილთან ერთად მშვენიერი ოჯახიც შეაქმნევინა. ორი ქალიშვილი შეეძინათ-ლალი და ეკა. კარგი შვილები დაზარდეს და დააბინავეს, მაგრამ ცხოვრება ყოველთვის ისეთი არ არის, როგორიც გვინდა რომ იყოს: ცალულად დარჩენილს შვილების და შვილიშვილების სიხარული ასულდგმულებს. ოთხი შვილიშვილი ილია, მანანა, მარიამი და კატო ხან ერთად, ხან რიგრიგობით სტუმრობენ ბებიას და ცხოვრებას უხალისებენ. ამჟამად კატო გვენეტაძეა ბებოს „დგმური“. კატო მუსიკაზეა წასაყვანი, მერე ჩოგბურთზე, სკოლაში და ... ასე გადის ყოველი დღე. თუმცა წარსულიც მისი სულის ნაწილია. გასახსენებელიც ბევრი აქვს. მისი მდიდარი ბიოგრაფიის ერთი განუმეორებელი შტრიხი მისი „პარაშუტისტობა“ გახლავთ. დიახ, ეს მოხდა 1961 წლის 7 დეკემბერს. ამის შესახებ გაზეთ „ახალი შირაქის“ 29 დეკემბრის 153-ე ნომერში ვკითხულობთ:

„ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა გატაცებულია სპორტით. ბევრი მათგანი კარგ შედეგებს აღწევს და წარმატებით მონაწილეობს რესპუბლიკურ სპორტულ ასპარეზობაში. ახალგაზრდობის სპორტულ წვრთნაში დიდ მუშაობას ატარებს აგრეთვე „დოსაააფის“ რაიონული კომიტეტი, რომელმაც წელს 25 მოსწავლე-ახალგაზრდა მოამზადა ნორჩ პარაშუტისტებად.

7 დეკემბერს მოეწყო სპორტსმენ-პარაშუტისტთა დასკვნითი ხტომა თვითმფრინავიდან 800 მეტრის სიმაღლეზე. მოსწავლეები მოუთმენლად ელოდნენ ამ სასიხარულო საათს.

აი, დადგა ეს დროც. თვითმფრინავმა ცაში კამარა გააკეთა და დაღლილი ორბივით დაეშვა მინაზე. პილოტმა სტუმართმოყვარულად გააღო კაბინის კარი. თბილისის ჰაეროკლუბის უფროსის მოადგილე ამხ. გამრეკელაშვილი კიდევ რამოდენიმე წუთით ატარებს ინსტრუქტაჟს, მზადყოფნის შემონმებას. ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის საშუალო სკოლების მოსწავლეების პირველი ხუთეული მწყობრი ნაბიჯით გაემართა თვითმფრინავისკენ.

აი უკვე კაბინაში არიან ნორჩი სპორტსმენები. თვითმფრინავი ცაში აიჭრა 800 მეტრის სიმაღლეზე. პირველი ხუთეული უკვე ცაშია გაშლილი პარაშუტებით. ყველა მათგანი უვნებლად დაეშვა მინაზე. დამსწრენი გარბიან მათკენ, ულოცავენ პირველ ბრწყინვალე გამარჯვებას. სახე უღიმით პირველ პარაშუტისტებს.

თვითმფრინავმა კიდევ სამჯერ აიღო სტარტი ჰაერში და სამივეჯერ ბრწყინვალედ დაეშვნენ მინაზე. 25-მა პარაშუტისტმა სამ დღეში სამ-სამჯერ გააკეთეს ხტომა და სამართლიანად მოიპოვეს მესამე სპორტული თანრიგი საპარაშუტო სპორტში. სპორტის ამ ახალ სახეში საუკეთესო წარმატებები მოიპოვეს არხილოსკალოს საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებმა: ნინო ციგროშვილმა, ცისანა მოთიაშვილმა, ლიანა ხუციშვილმა, ნაზი ჩოხელმა, ტრისტან წაწალაშვილმა, მურადი ბახუტაშვილმა, ზაური ლოლაშვილმა. ასევე ზემო ქედის საშუალო სკოლიდან: არსენ ზანგურმა და დიმიტრი ჩქარეულმა. ქვემო ქედის სკოლიდან: ვახტანგ გურასპაულმა, შოთა წიკლაურმა და ვალერი უთრუთაშვილმა.

ამით ჩვენს რაიონში საფუძველი ჩაეყარა პარაშუტისტ სპორტსმენთა მომზადებას, რაშიც დიდი შრომა გასწიეს „დოსაააფის“ რაიონულმა კომიტეტმა (თავმჯდომარე მ. ჯანაშვილი) საპარაშუტო წვრთნის ინსტრუქტორმა ჩუპრინმა, სპორტის ოსტატებმა და პირველ თანრიგოსნებმა გ. გიგაურმა, ნ. ნატროშვილმა, გ. ბაჯელიძემ, ნ. ცინცაზემ, ე. იურევმა და მ. კრაევმა. მათი მზრუნველობით და სიფრთხილით გატარებულმა ახალმა ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა. კარგი იქნება, თუ „დოსაააფის“ რაიონული კომიტეტი ამ მიმართულებით კვლავ განაგრძობს მუშაობას.

* * *

ამ დროს გაზეთის რედაქტორი გახლდათ ვლადიმერ მჭედლიშვილი, წერილის ავტორი კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი გივი პოლიკაშვილი, ხოლო საგაზეთო ფოტოსესია წარმოადგინა ბორის არჟანენკომ. ამ მოვლენას ეხმაურებოდა რესპუბლიკური გაზეთი „სოფლის ცხოვრებაც“.

-მსურველთაგან ყველაზე პატარა მე ვიყავი. კომისიამ ასაკის გამო უარი მითხრა, მაგრამ ისე ძალიან მინდოდა, ისე ვიხვეწებოდი და თან ისეთი ჯანმრთელი გამოვდექი, რომ გაითვალისწინეს ეს ყველაფერი და ნება დამრთეს. ეს იყო ჩემთვის განუმეორებელი წუთები. დღემდე მახსოვს, რა სასიამოვნო იყო ცაში ჯერ შურდულივით მოვქროდი, მერე, პარაშუტი რომ გაიხსნა- ჩიტივით მოვნარნარებდი, მინაზე ფეხის დადგმის სიხარულს ხომ არაფერი შეედრება. მადლობელი ვარ უფლის, რომ ასეთი ლამაზი და განუმეორებელი წუთები მაჩუქა, საერთოდაც ჩვენ განუმეორებელი ბავშვობა გვქონდა,- ამბობს ქალბატონი ლია და მის არქივში შემორჩენილ ნახევარი საუკუნის წინ გადაღებულ ფოტოებს მაჩვენებს. ფოტოებს სიმკვეთრე და ხარისხი დღემდე არ დაუკარგავთ. გთავაზობთ ამ შეჯიბრის ამსახველ ფოტოკოლაჟს.

ნაირა გორაშვილი

ულოცავენ!

თამილა გორაშვილს!

ჩვენო თამილა, 1963 წლის 12 მაისს დაიბადე, ჩვენს შორის ყველაზე პატარა იყავ და ალერსითა და სიყვარულით გზრდიდით, მაგრამ ცხოვრება ყველას როდის ანებივრებს - შენც ბევრი წინააღმდეგობა და უსიამოვნება შეგხვდა, თუმცა არ დაეცი, შენს თავს შეუძახე, შენი დედობრივი ვალი მოიხადე. ხვალ 50 წელი შეგისრულდება. ჩვენგან შორს - იტალიაში გილოცავთ ამ საიუბილეო თარიღს. იყავ ჯანმრთელი, ბედნიერი, გახარებული. ფორტუნა შენსკენ შემობრუნდეს და სულ წაღმა წავიდეს შენი ცხოვრება. გფარავდეს უფალი! ყველას ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები, მალე შეხვედრამდე.

შენი და მანანა, **ბიძაშვილები:**
ნაირა, ციხელო, სპარტაკი, გულნარა, ანგელინა, ლეილა გორაშვილები, **შენი ერთადერთი ვაჟი** ზაზა სეხნიაშვილი

ძიუდო

2013 წლის 9 მაისს, ქ. დედოფლისწყაროს სპორტულ კომლექსში ჩატარდა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის, საქართველოში ძიუდოს ფუძემდებლის-ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნის ტრადიციული, მესამე რესპუბლიკური ტურნირი 1998-99 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის.

შეჯიბრი ჩატარდა ძიუდოს საერთაშორისო წესების თანახმად, პირადი სისტემით, 7 წონით კატეგორიაში.

ტურნირში მონაწილეობდნენ: თელავის, ლაგოდეხის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, მარტყოფისა და თბილისის გუნდები.

დედოფლისწყაროელმა ძიუდოისტებმა დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

ლაშა ბექაური - I ადგილი (46კგ. წ.კატეგორია.) ნიკა კობაიძე - II ადგილი (46კგ.წ. კატეგორია.) ვაჟა ბუბუნაური - III ადგილი (46კგ. წ.კატეგორია.)

ნიკა ზვიადაური - II ადგილი (50კგ. წ.კატეგორია.) გიორგი წიკლაური -I ადგილი (55კგ. წ.კატეგორია.) ნიკა ბურდული - I ადგილი (60კგ.წ.კატეგორია.)

სპორტი

ბექა ხუზაურაშვილი - III ადგილი (60კგ.წ.კატეგორია.) ტურნირის ბოლოს, პირველ საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დიპლომებითა და მედლებით დაავჯილდოვეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა - ირაკლი შიოლაშვილმა, გამგებლის მოადგილემ - ნიკოლოზ ხუციშვილმა და კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა - ნინო ბახუტაშვილმა.

ტურნირის ორგანიზატორი იყო საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის დირექტორი ბატონი ანზორ მარტყოფლიშვილი.

ყურადღება

თელავში „ავთანდილ ყამბარაშვილის“ კლინიკა აწარმოებს გინეკოლოგიური დაავადებების ქირურგიულ მკურნალობას მაღალი კლასის ქირურგიული ტექნიკით. მაღალკვალიფიციური ქირურგები ჩაგიტარებენ ზოგადქირურგიულ დაავადებათა ოპერაციულ მკურნალობას. კეთდება ყველა სახის უროლოგიური ოპერაცია თანამედროვე მეთოდით, მათ შორის პროსტატის ტრანსურეთრალური რეზექცია (ე.წ. „ტური“), ოპერაციებს აკეთებს უროლოგიის ნაციონალური ცენტრის წამყვანი პროფესორი თემურ ჩიგოგიძე.

კლინიკაში გრანდიოზული ფასდაკლებაა, მშობიარობა 350 ლარი, საკეისრო 700 ლარი, ყველა სახის გინეკოლოგიური ოპერაცია 750 ლარი.

მისამართი: ქ. თელავი, ალადაშვილის ქ.6
ტელ: 0-350-23-33-66, 0-350-23-33-22.

ყურადღება

ქალაქ დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქუჩაზე (ჯარისწყალთან) **გაიხსნა**

კაფე-რესტორანი „ნიკა“

აქ თქვენ მოგემსახურებიან და გაგიმასპინძლდებიან მაღალ დონეზე შესანიშნავი ცხელი კერძებით. მივიღებთ შეკვეთებს ოჯახისათვის და ყველანაირი სუფრისათვის. **დარბაზი იტევს 100 ადამიანს.** დარეკეთ ტელეფონზე:
599 73 15 95

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 11.05		კვირა 12.05		ორშაბათი 13.05		სამშაბათი 14.05		ოთხშაბათი 15.05		ხუთშაბათი 16.05		პარასკევი 17.05	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
18 °	11 °	16 °	12 °	18 °	16 °	20 °	16 °	16 °	15 °	18 °	16 °	17 °	15 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-შენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K